დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნანა მონიავა
წევრი:
ირმა ხუციშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	240412781

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე
ფაქტობრივი მისამართი	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე, 1-ლი ქუჩა №6
საფოსტო ინდექსი	4200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Bodbe1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	09/09/2025 ბრძანება MES 8 25 0001096857
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	9-10 ოქტომბერი 2025წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე, 1-ლი ქუჩა №6
ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე, 1-ლი ქუჩა №6
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბე, 1-ლი ქუჩა №6

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მონიტორინგის ვიზიტი წარიმართა საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. სასკოლო საზოგადოებას ნაწილობრივ ჰქონდა გააზრებული 2023 წლის ავტორიზაციის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რომელთა შესასრულებლად ნაწილობრივ განახორციელა შესაბამისი აქტივობები.
ვიზიტის პერიოდში ჩატარდა გასაუბრებები სკოლის დირექციასთან, ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რაც მიზნად ისახავდა სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სათანადო ინფორმაციის მიღებას. ვიზიტის მეორე დღეს სკოლას არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია, რამაც ნაწილობრივ ხელი შეუშალა დოკუმენტაციის მოწოდებას, თუმცა საღამოს მაინც მოხერხდა ელექტრონულად ხარისხის განვითარების ცენტრის წარმომადგენელთაბ დოკუმენტების გადმოგზავნა. აღსანიშნავია სკოლის თანამშრომელთა გუნდურობა.
მონიტორინგის ბრძანების საფუძველზე შემოწმდა I, III და IV სტანდარტები.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
90	63

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის შემუშავების დროს პირველი და მესამე სტანდარტთან მიმართებით დახარვეზებული იყო შემდეგი ინდიკატორები: N1.1.1.3, N1.1.1.4, N1.2.1.1, N1.2.1.2, N1.2.1.3, N1.2.1.4, N1.2.2.2, N1.2.2.3, N1.2.2.4, N3.1.1.1, N3.1.2.1, N3.1.2.2, N3.1.2.3, N3.4.1.1, N3.4.1.8, N3.6.2.1, N3.6.3.5.

არგუმენტირებული პოზიციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად ნაწილი ინდიკატორების სრულად დაკმაყოფილებეულია (N1.2.1.1, N1.2.1.2, N1.2.1.3, N1.2.1.4, N3.1.1.1, N3.1.2.1, N3.6.2.1.), ნაწილი დაკმაყოფილებულია მეტწილად (N3.1.2.2, N3.1.2.3, N3.4.1.1, N3.4.1.8, N3.6.3.5).

ექსპერტთა მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული სკოლის პოზიცია და შესაბამისად ხარვეზია შემდეგი ინდიკატორები N1.1.1.3, N1.1.1.4, N1.2.2.2, N1.2.2.3, N1.2.2.4.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განმარტა, რომ N1.1.1.3, N1.1.1.4 ინდიკატორბი შესაბამისობაშია („1 სტანდარტის # 1.1.3. და 1.1.4. ინდიკატორთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარებულია და თვალსაჩინოდაა განთავსებულია სკოლაში და ვებგვერდზე“), თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

რაც შეეხება N1.2.2.3 ინდიკატორს შესაბამისობის გეგმაში გაწერილია რომ 2026 წლის 24 დეკემბრამდე აიტვირთება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და ამავე გეგმის შესრულების შედეგები, რასაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან როგორც ინდიკატორის ხარვეზშია გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის (რომლის შესაბამისობაც ვერ დგინდება, გეგმის არარსებობის გამო) საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი.

N1.2.2.2 ინდიკატორთან დაკავშირებით ვერ ვიზიარებთ სკოლის პოზიციას („1.2.2.2. ამ იდიკატორთან დაკავშირებით გიგზავნით სკოლაში არსებულ 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმას და ანგარიშს,რომელიც ვიზიტის დროს გამოგვრჩა“), რადგან ვერ დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმისა და გეგმის ანგარიშის შესაბამისობა. ამ ორ დოკუმენტს შორის თანხვედრაშია მხოლოდ 2 სტრატეგიული მიზანი, ამ მიზნების მისაღწევი ამოცანები და აქტივობები განსხვავებული. შესაბამისად ვერც მეთოდოლოგიის პრინციპების გამოყენება დგინდება.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☒ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2	☐ შეესაბამება

სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IIIII. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება არ იყო ჩართული*
ინდიკატორი N1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების მიერ არ გაზიარებულა.*
ინდიკატორი N1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*ვერ დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმისა და გეგმის ანგარიშის შესაბამისობა. ამ ორ დოკუმენტს შორის თანხვედრაშია მხოლოდ 2 სტრატეგიული მიზანი, ამ მიზნების მისაღწევი ამოცანები და აქტივობები განსხვავებული. შესაბამისად ვერც მეთოდოლოგიის პრინციპების გამოყენება დგინდება.*
ინდიკატორი N1.2.2.3	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა*	*სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის (რომლის შესაბამისობაც ვერ დგინდება, გეგმის არარსებობის გამო) საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი.*
ინდიკატორი N1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სკოლას არ აქვს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგი, შესაბამისად არ იყო გამოყენებული ახლის შემუშავებისას.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.*	*შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ გადახედოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს და შეიტანოს ცვლილებები, სადაც გათვალისწინებული იქნება პრევენციული და ინტერვენციული მიდგომები.*
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში 2025 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე ყველა თანამშრომელმა წარმოადგინოს ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ.*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან*	*2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ უზრუნველყოს:* *1.სკოლის შენობის საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობა, დაამონტაჟოს ვიდეო კამერები კიბის უჯრედებში;* *2.მოიპოვოს სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა;*

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.4.1.8	*სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის*	*დაწესებულებამ 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე შექმნას მრჩეველთა საბჭოს და ხელი შეუწყოს მის ფუნქციონირებას.*
ინდიკატორი N3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი*	*2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ უზრუნველყოს შემდეგი დოკუმენტების ვებ-გვერდზე განთავსება: 1.სრულყოფილი სტრუქტურა; 2. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები; 3.ფინანსური ანგარიში; 4.სამოქმედო გეგმის ანგარიში.*

	დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.2.1.1	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს*	*დამატებით ინფორმაციაში მითითებულ რეგულაციებში განსაზღვრულია 2004 წელს მიღებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინება. სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი შეცვლილი იყოს 2024 წლის 12 ივნისის N4261-XIVმს-Xმპ დადგენილებით განსაზღვრული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.*
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სასურველია დაწესებულებამ ჩაასწოროს ტექნიკური შეცდომები. მეორე და მეექვსე სტრატეგიული მიზნების ამოცანების რაოდენობა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისობაში მოიყვანოს.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების*	***სკოლას მიეცა რჩევა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.***

	მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი N3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*საქმის წარმოების წესში საკადრო გრძანებების „ზ პუნქტში“ შეიტანოს ცვლილება, ამოიღოს სასწავლებლის დებულებებისა და წესების შესახებ გრძანებები საკადრო გრძანების კატეგორიიდან.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი და ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ ინფორმაცია. შედეგად დადგინდა შემდეგი:*

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგად განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლამ უზრუნველყოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე ორიენტირებული მისიის და ხედვის შემუშავება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (15.09.2023-25.09.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N1.1.1.3.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის დ ღირებულებების შედგენა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (15.09.2023-25.09.2023წწ.).*	***არ არის შესრულებული***
ინდიკატორი N1.1.1.4.	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;*	*სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებასთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (26.09.2023-30.09.2023წწ.).*	***არ არის შესრულებული***
ინდიკატორი N1.2.1.1.	*სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და*	*სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის შედგენა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.09.2023-15.09.2023წწ.).*	***შესრულებულია***

	ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;		
ინდიკატორი N1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის შემუშავება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.09.2023-30.10.2023წწ.).*	***შესრულებულია***
ინდიკატორი N1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შემუშავება სრულყოფილი ფორმით, სადაც მითითებული იქნება „შესრულების გაზომვადი ინდიკატორები“ და „რესურსები“. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.09.2023-15.09.2023წწ.).*	***შესრულებულია***
ინდიკატორი N1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.09.2023-15.09.2023წწ.).*	*შესრულებულია*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი N3.1.2.3.	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმება ობიექტურობისა და*	*სკოლის თანამშრომლებმა უზრუნველყონ ცნობები წარმოდგენა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ასევე, ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.*	***არ არის შესრულებული***

	გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;	*დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 15.10.2023წწ.).*	
ინდიკატორი N3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის ყველა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (18.08.2023- 18.10.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.2.1.1.	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;*	*სკოლამ შეადგინოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმს.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (18.11.2023- 18.12.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;*	*სკოლამ შეადგინოს ხარისხის უზრუნველყოფის მართვის დოკუმენტი.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (25.09.2023- 25.12.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებშირეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთა და მისი დამტკიცება, ასევე, მოიპოვოს დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 25.12.2023წწ.).*	***არ არის შესრულებული***
ინდიკატორი N3.6.2.1.	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*სკოლამ შეადგინოს საქმისწარმოების ერთიანი წესი.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 25.12.2023წწ.).*	***შესრულებულია***

ინდიკატორი N3.6.3.1.	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაცი არხების საშუალებით;*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 25.11.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.6.3.4.	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 25.11.2023წწ.).*	*შესრულებულია*
ინდიკატორი N3.6.3.5.	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია*	*სკოლამ უზრუნველყოს ვებ. გვერდის ადმინისტრირება და მასზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.* *დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (14.08.2023- 25.11.2023წწ.).*	***არ არის შესრულებული***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა სკოლის სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

2023 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო, რომ სკოლას ინდიკატორთან შესაბამისობის მოყვანისათვის განსაზღვრული ჰქონდა 2023 წლის 25 სექტემბრი, მაგრამ აღნიშნული საკითხის გადახედვა და რევიზირება და სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა2025 წლის 11 სექტემბერისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

დაწესებულების მისიასა და ხედვაში პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს თითოეულ მოსწავლეზე მორგებული და მათი უნარების განვითარების, უსაფრთხო, განვითარებად სასწავლო დაწესებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. სკოლის ხედვაში განსაზღვრულია, როგორც მთლიანად ქვეყნის ასევე სოფლის განვითარების ხელშემწყობი პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მუშაობა. ყოველივე აღნიშნულისათვის კი შეთანხმებულნი არიან ისეთ ღირებულებზე როგორიც არის:

პროფესიონალიზმი, მიღწევების აღიარება, პატივისცემა, ერთგულება, ტოლერანტობა და სამართლიანობა, მიუკერძოებლობა. პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხშირია შეხვედრები მასწავლებლებსა და მშობლებს შორის სხვადსხვა მნიშვნელოვან საკითხზე, ერთობლივად განხორციელებული აქტივობები. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ერთობლივად სასკოლო ეზოს გამწვანებას, ნაძვებისა და ვარდის ნერგების დარგვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების, შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და 2025 წლის 5-11 სექტემბრის 8 შეხვედრის ოქმი. აღნიშნულ ოქმებში აღწერილი იყო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი. სამუშაო ჯგუფის წევრებად განსაზღვრული არიან დირექტორის მოადგილე (არ არის საშტატო განრიგში), 4 მასწავლებელი, ბუღალტერი, მოსწავლე, მშობელი. აღნიშნულ პირებთან გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებების რევიზირების პროცესში ჩართულები არ ყოფილან.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ „1 სტანდარტის # 1.1.3. და 1.1.4. ინდიკატორთან დაკავშირებით გაცნობებთ,რომ სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარებულია და თვალსაჩინოდაა განთავსებულია სკოლაში და ვებგვერდზე“, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

ხარვეზი: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოება არ იყო ჩართული.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლის მისია ხედვა და ღირებულებების გაზიარების მიზნით გასაუბრების დროს მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა, რომ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულზე მოსწავლეებისა და მშობლების მხრიდან ინფორმაცია ვერ მივიღეთ.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ „1 სტანდარტის # 1.1.3. და 1.1.4. ინდიკატორთან დაკავშირებით გაცნობებთ,რომ სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გაზიარებულია და თვალსაჩინოდაა განთავსებულია სკოლაში და ვებგვერდზე“, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები ნამდვილად განთავსებულია სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე. მაგრამ სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარების მტკიცებულებები არ წარმოუდგენიათ.

ხარვეზი: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სასკოლო საზოგადოების მიერ არ გაზიარებულა.
ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge/
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდებაა „სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლა“. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების, შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 5-11 სექტემბრის 8 შეხვედრის ოქმი;
- სკოლის ვებ გვერდი https://skolebi.emis.ge/;
- სასკოლო საზოგადოების ინფორმირება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 12 სექტემბრის N2-60 ბრძანებით. 2023 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო, რომ სკოლას ინდიკატორთან შესაბამისობის მოყვანისათვის განსაზღვრული ჰქონდა 2023 წლის 25 სექტემბრი, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი სკოლის მიერ დამტკიცებული იყო 2025 წლის 12 სექტემბერს, მას შემდეგ რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ რევიზირების ოქმებით მოხდა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადახედვა და რევიზირება.

აღნიშნული დოკუმენტი წინააღმდეგობაში მოდიოდა სამეურვეო საბჭოს ფუნქციებთან. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და წარმოადგინა 2025 წლის 10 ოქტომბერს N2-71-ით დამტკიცებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც „პუნქტი 8.16. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ“. რაც უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოს ფუნქციებთან შესაბამისობას.

რჩევა: დამატებით ინფორმაციაში მითითებულ რეგულაციებში განსაზღვრულია 2004 წელს მიღებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების გათვალისწინება. სასურველია აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი შეცვლილი იყოს 2024 წლის 12 ივნისის N4261-XIVმს-Xმპ დადგენილებით განსაზღვრული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეთანხმებული იყო სამეურვეო საბჭოსთან (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 11.09.2025) დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-61, 2025 წლის 15 სექტემბერს.

სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას ექსპერტების მიერ დასმული იყო შემდეგი კითხვები: რის საფუძველზე მოხდა დირექტორის მიერ სტრატეგიული გეგმის დამტკიცება; 2024 -2031 წლის სტრატეგიული გეგმა რატომ დამტკიცდა 2025 წლის სექტემბერში; აღნიშნული საკითხის გასააზრებლად ექსპერტებმა მოვითხოვეთ სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, სადაც სწორად იყო ჩამოყალიბებული, რომ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ გადმოგზავნილ და სკოლის საიტზე განთავსებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა არის არა 2025-2032, როგორც ბრძანებაშია მითითებული, არამედ 2024-2031 წლების. 2023 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული იყო, რომ სკოლას ინდიკატორთან შესაბამისობის მოყვანისათვის განსაზღვრული ჰქონდა 2023 წლის 30 ოქტომბერი, მაგრამ სტრატეგიული გეგმა დამტკიცებული იყო 2025 წლის 15 სექტემბერს.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულა სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 18 ნოემბერს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9 . 18.11.2025). აღნიშნული სტრატეგიული გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის N2-62 ბრძანებით, 2025 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია 2024-2031 წლის სტრატეგიული გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული

მიზნების შესაბამისი აქტივობები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ წლიურ ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურად 10 დეკემბრამდე.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომლებიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 18 ნოემბერს (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9. 18.11.2025). ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და მასში წარმოდგენილია იგივე სტრატეგიული მიზნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში (არაუფლებამოსილი პირის, სკოლის დირექტორის, მიერ იყო დამტკიცებული) გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, რესურსები, თუმცა რიგ ამოცანებსა და აქტივობებზე პასუხისმგებელ პირად გათვალისწინებული იყო დირექტორის მოადგილე, რაც სკოლის საშტატო განრიგით არ არის განსაზღვრული. სამეურვეო საბჭოს მიერ მიერ დამტკიცებულ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9, 18.11.2025) პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები შესაბამისია ამოცანების მისაღწევად.

2025-2026 სასწავლო წლის გეგმაში 2 ტექნიკური შეცდომა დაფიქსირდა: პირველ სტრატეგიულ მიზანს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქვს 3 ამოცანა, თუმცა სამოქმედო გეგმაში დამატებული მეოთხე ამოცანა „აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა"; მეექვსე სტრატეგიულ მიზანს სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული აქვს 3 ამოცანა, თუმცა სამოქმედო გეგმაში მხოლოდ 2 ამოცანაა, გამორჩენილია მესამე „მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება".

რჩევა: სასურველია დაწესებულებამ ჩაასწოროს ტექნიკური შეცდომები. მეორე და მეექვსე სტრატეგიული მიზნების ამოცანების რაოდენობა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისობაში მოიყვანოს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (ბრძანება N2-60, 12.09.2025);
- სრატეგიული განვითარების 2024-2031 წლების გეგმა (ბრძანება N2-61, 15.09.2025);
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N4, 11.09.2025;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება N2-62, 15.09.2025);
- სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N9, 18.11.2025;
- 2025-2032 სტარტეგიული განვითარების გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის (ბრძანება N2-60, 12.09.2025) თავი 12 მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნულ თავში

დაწვრილებით არის ცალ-ცალკე გაწერილი სტრატეგიულისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, წარმოდგენილია ორი ალტერნატიული მექანიზმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია დამტკიცებულია 2025 წლის 15 სექტემბერს (ბრძანება N2-60, 12.09.2025). სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა სკოლამ ვერ წარმოადგინა, თუმცა წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი. აღნიშნულ დოკუმენტში განმარტებულია, რომ აღნიშნული სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, მაშინ როცა ამ საკითხთან დაკავშირებით დირექტორმა განმარტა, რომ არ არსებობდა ამ პერიოდის გეგმა, რაც ავტორიზაციის დასკვნაშიც ასახულია. შესაბამისად სტრატეგიული გეგმის განხორციელების მონიტორინგის საკითხი არც დამდგარა.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციას დაურთო სკოლაში არსებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. ამ ორ დოკუმენტს შორის ვერ დგინდება მაგალითისთვის განვიხილოთ სტრატეგიული მიზნები.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია შემდეგი სტარტეგიული მიზნები: 1.სკოლის შინაგანაწესის და სხვა საქმიანობის მომწესრიგებელი აქტების განახლება, ახალი რედაქციით დამტკიცება; 2. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის

გაუმჯობესება; 3. საინფორმაციო არხების გამართვა; 4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; 5. საგნობრივი კათედრების ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა; 6. სასწავლო პროცესის მართვა; 7. მშობელთა ჩართულობის გააქტიურება; 8. არაფორმალური განათლება; 9. ტრადიციული ღონისძიებები.

სამოქმედო გეგმის ანგარიშში წარმოდგენილი სტარტეგიული მიზნები: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 2. ადამიანური რესურსის განვითარება; 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება: 7. ორგანიზაციული განვითარება;

თანხვედრაშია მხოლოდ 2 სტრატეგიული მიზანი, ამ მიზნების მისაღწევი ამოცანები და აქტივობები განსხვავებული.

ხარვეზი: ვერ დგინდება სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმისა და გეგმის ანგარიშის შესაბამისობა. ამ ორ დოკუმენტს შორის თანხვედრაშია მხოლოდ 2 სტრატეგიული მიზანი, ამ მიზნების მისაღწევი ამოცანები და აქტივობები განსხვავებული. შესაბამისად ვერც მეთოდოლოგიის პრინციპების გამოყენება დგინდება.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლას არ აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმის შედეგი, რადგან არ ჰქონდა 2025 წლამდე. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ არის განთავსებული ვებ გვერდზე.

შესაბამისობის გეგმაში გაწერილია, რომ 2026 წლის 24 დეკემბრამდე აიტვირთება 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა და ამავე გეგმის შესრულების შედეგები, რასაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან როგორც ინდიკატორის ხარვეზშია გაწერილი სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის (რომლის შესაბამისობაც ვერ დგინდება, გეგმის არარსებობის გამო) საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი.

ხარვეზი: სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის (რომლის შესაბამისობაც ვერ დგინდება, გეგმის არარსებობის გამო) საჯაროობა არ არის უზრუნველყოფილი.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვიზიტის დროს სკოლას არ წარმოადგინა 2024-2025 სამოქმედო გეგმა და არც განხორციელების შედეგი. ამიტომ ვერ მოხერხდებოდა შედეგების გამოყენების დადგენის ფაქტი.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და გეგმის შესრულების შედეგები. თუმცა ვერ დადგინდა მათი შესაბამისობა. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დადგინდება დამდგარი შედეგების გათვალისწინების ფაქტი.

ხარვეზი: სკოლას არ აქვს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგი, შესაბამისად არ იყო გამოყენებული ახლის შემუშავებისას.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია(ბრძანება N2-60, 12.09.2025).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**
   სკოლის საშტატო განრიგი შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და მოიცავს შემდეგ თანამდებობებს: დირექცია - დირექტორი და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი და ბიბლიოთეკარი, ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი - სკოლის ექიმი, 2 დამლაგებელი და 2 დარაჯი, მასწავლებელები.
   2023 წლის 10 ივლისის N2-16 ბრძანების საფუძველზე, სკოლამ დაამტკიცა ,,სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი“, რომელიც მოიცავს როგორც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა) ფუნქციების აღწერილობას, ასევე, კონკრეტულ თანამდებობაზე დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, დირექტორის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, სკოლის ექიმის,

დამლაგებლის, დარაჯის. გარდა ამისა, სტატუსების შესაბამისად, სკოლის პედაგოგების უფლებამოსილებას და ვალდებულებებს.

სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული დირექტორის მოადგილის პოზიცია, თუმცა სხვადასხვა დოკუმენტებში ოქმებში, ნახსენებია დირექტორის მოდგილე.

დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი, არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ დოკუმენტიდან(ერთწლიანი სამოქმედო გეგმა) ამოღებულ იქნა დირექტორის მოადგილის პოზიცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების მკაფიოდ გაწერილი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს პროცესების ადმინისტრირებას. სკოლა იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ვიზიტის პროცესში თითოეულ საკითხზე სხვადასხვა პიროვნებისაგან ვიღებდით ინფორმაციას, რაც იმას ადასტურებდა რომ გააზრებული აქვთ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი (ბრძანება N2-16, 10.07.2023);
- შრომითი ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;

- 2025-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 16 სექტემბრის N 2-64 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც შედგება შემდეგი თავებისაგან: პოლიტიკის მიზანი და გამოყენების სფერო; პოლიტიკის ამოცანები; ღირებულებები; ადამიანური რესურსების მართვის ციკლი და სტრატეგია; დაწესებულების ადამიანური რესურსი; სამუშაო აღწერილობა; კადრების მოზიდვა და შერჩევა; მასწავლებლის შერჩევა; კონკურსის გამოცხადება; კომისიის შექმნის წესი და საქმიანობა; კონკურსის ეტაპები; კონკურსის ჩაშლის საფუძვლები; საპრეტენზიო კომისია; პერსონალის კვალიფიკაცია; ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია; შესრულებული სამუშაოს შეფასება; თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება; თანამშრომელთა მოტივაცია; შრომითი ურთიერობის შეწყვეტა. მიუხედავად იმისა რომ დოკუმენტი სრულად აკმაყოფილებს ადამიანური რესურსებით მართვის პროცესს, აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ მაცვლად სამეურვეო საბჭოსი (სამეურვეო საბჭოსა და დირექტორს შორის დადებული ხელშეკრულების 3.2. პუნქტი). რეალურად სკოლა ხელმძღვანელობდა დოკუმენტით რომელსაც არ ჰქონდა ლეგიტიმაცია.

არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლის მიერ გადმოგზავნილი იყო სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2025 წლის 18 ნოემბრის N9 სამეურვეო საბჭს სხდომის ოქმი). შესაბამისად

დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლამ წარმოადგინა სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, თუმცა არც წარმოდგენილ დოკუმენტში და არც სხვა დოკუმენტში არ იყო წარმოდგენილი თუ რა პრევენციული ზომები, რა შემთხვევაში, რის საფუძველზე შეიძლება იყოს განხორციელებული. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას პერსონალის მართვასთან დაკავშირებით პრევენციული ზომებად მიიჩნევა მასწავლებლის არ ყოფნის შემთხვევაში სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. დოკუმენტში არ არის გაწერილი რომელიმე პოზიციის წარმომადგენლის არ ყოფნის შემთხვევაში ვის დაეკისრება მისი უფლებები.

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 დეკემბრამდე გადახედავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღმწერ დოკუმენტს, შეიტანს შესაბამის ცვლილებებს და მიიღებს სრულყოფილ სახეს.

რეკომენდაცია: შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ გადახედოს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტს და შეიტანოს ცვლილებები, სადაც გათვალისწინებული იქნება პრევენციული და ინტერვენციული მიდგომები.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკიაში კანონმდებლობის დაცვით არის გაწერილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლის შერჩევის ორი ქეისი: მასწავლებლისა და ბუღალტრის. აღნიშნულ ქესისებში წარმოდგენილი პროცედურები შეესაბამებოდა კანონმდებლობით დაგენილ წესებსა და პროცედურებს. თანამშრომლის შერჩევის შემდეგ სკოლა აფორმებს ხელშეკრულებებს, აწარმოებს თანამშრომელთა პირად საქმეებს.

თუმცა თანამშრომელთა ნაწილს, როგორც ახალ ისე ძველ თანამშრომლებს არ ჰქონდათ ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ.

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა, რომ 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2025 წლის 24 დეკემბრამდე სკოლის ყველა თანამშრომელს მიაწვდის ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს ცნობების წარდგენას.

რეკომენდაცია: შესაბამისობით განსაზღვრულ ვადებში 2025 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე ყველა თანამშრომელმა წარმოადგინოს ცნობები ნასამართლეობის, უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და სკოლის მიერ კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლა უზრუნველყოფს შერჩეული პირების პირად საქმეში საკვალიფიკაციო მოთხოვნებში ასახული მტკიცებულებების არსებობას.
თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლების კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლას მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ერთერთი თავი ეთმობა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანია გუნდური მუშაობის პრინციპი. ვიზიტის პროცესში სკოლის გუნდში პასუხისმგებლობა გადანაწილებული იყო და თანამშრომლობითი მიდგომებიც ნათლად იყო წარმოდგენილი, რაც დასტურდება კათედრების სხდომის ოქმებით, ერთობლივი პროექტებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით, ერთობლივი სასკოლო რონისძიებებით, მშობელთა ჩართულობით სხვადსხვა აქტივობებსა და პროექტებში. სკოლაში მოწყობილია საერთო სამუშაო სივრცეები, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლა აფასებს თანამშრომელთა მიერ მიღწეულ წარმატებას და მათ მიმართ იყენებს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულ წახალისების ღონისძიებებს (მადლობის გამოცხადება, სიგელების გადაცემა და ა.შ).
სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებს. სკოლის დირექცია მართავს სამუშაო შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. აღნიშნულ შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, განიხილავენ სხვადასხვა პრობლემურ და/ან წარმატებულ გამოცდილებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (ბრძანება N2-64, 16.09.2025);
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის საკონკურსო დოკუმენტაცია;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალს პროფესიულ განვითარებას. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა და აღნიშნული საკითხი დაწვრილებით არის ჩაშლილი სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში. მასწავლებლებტან გასაუბრებისას ირკვევა, რომ ისინი ხშირად ესწრებიან ერთმანეთს წინასწარ დაგეგმილი განრიგის და გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით. დაგეგმილია სკოლის ბიბლიოთეკარისა და ბუღალტრის პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგებზე დასწრება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო წლის ბოლოს კათედრებზე ხდება მასწავლებლების ანგარიშების წარდგენა, რის ანალიზის საფუძველზეც დგინდება ის მიმართულებები, რომელშიც

მასწავლებლებს ესაჭიროება დახმარება. ბოლო პერიოდში ეს განსაკუთრებით ეხება ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაწერილია კათედრის ფარგლებში სამოქმედო გეგმის ნაწილში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. კერძოდ, უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. მუდმივად აწვდის ტანამშრომლებს ინფორმაციას მასწავლებლის პროფესიული განვიტარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ჩატარების შესახებ. 2025 წლის ზფხულში სკოლის მასწავლებელთ 80% გაიარა ტრენინგი ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში, რის შედეგადაც უკვე იგეგმება შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება სხვადსხვა გაკვეთილზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის დირექციასთან და თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ახლადმიღებულ თამანშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით და ამ პერიოდის წარმატებით გასავლელად მის მხარდაჭერას და პროფესიულ დახმარებას უზრუნველყოფს სკოლაში უკვე დასაქმებული, შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი. მაგალიტად ბიბლიოთეკარის შემთხვევაში, რომელიც მონიტორინგის ვიზიტის წინა დღეს შეუდგა საქმიანობას, კურირებას უწევს და ეხმარება ბიბლიოთეკის მართვაში გამოცდილი თანამშრომელი, რაც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციას და ინტეგრაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა ეხმარება თანამშრომლებს იდეების განვითარებასა და რეალიზებაში. ამ მიზნით სკოლა

ქმნის შესაბამის გარემოს, უზრუნველყოფს რესურსებითა და სათანადო პირობებით. სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და ურთიერთთანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს სკოლის პერსონალის წახალისებასა და ინიციატივების განხორციელებას. ნებისმიერი მასწავლებლის მიერ შეთავაზებული იდეის განხორციელებაში ერთვება სკოლის ყველა თანამშრომელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები
- თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებული სერტიფიკატები;
- ურთიერთდასწრების და ანალიზის ამსახველი დოკუმენტები;
- კათედრის პორტფოლიოები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 სექტემბრის N2-66 ბრძანებით. რომლის მიზანი დაწესებულების შიდა შეფასების მექანიზმების დანერგვაა. წესი მიზნად ისახავს სკოლის განვითარების ხარისხის მუდმივ მონიტორინგს, შეფასებასა და განვითარებას. სკოლის შიდა შეფასება ეფუძნება ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" დაგეგმე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის რომელი ასპექტი რა პერიოდულობით, რა თანმიმდევრობით და ვის მიერ უნდა განხორციელდეს. განახორციელე - გულისხმობს სკოლის საქმიანობის ხარისხის შეფასების განხორციელებას წინასწარ დაგეგმილი აქტივობებით. შეამოწმე - განხორციელებულ აქტივობებს ამოწმებს მონიტორინგის ჯგუფი და შედეგებს გააცნობს სკოლის დირექციას. გამოვლენილ მიგნებებს განიხილავს პედაგოგიური საბჭო. განავითარე - მონიტორინგის ჯგუფის ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დირექცია განსაზღვრავს გაუმჯობესების გზებს და შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

აღნიშნული დოკუმენტის გარდამავალი დებულების მიხედვით განსაზღვრულია დოკუმენტის მიღებიდან ერთი თვის ვადაში სამოქმედო გეგმის შემუშავება, რაც დირექტორს გააზრებული აქვს და ვიზიტის დროს აღნიშნა რომ მუშაობს აღნიშნულ საკითხზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლაში შექმნილია მართვის ერთიანი სისტემა. ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლებიც ურთიერთთანამშრომლობით ხელს უწყობენ სკოლაში შექმნილი მართვის ერთიანი სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში ჩართულია თითოეული სტრუქტურული ორგანო, რომელთა ერთობლივი მუშაობით, მათი კომპეტენციის ფარგლებში ხდება სასწავლო პროცესზე ზრუნვა და პროცესის წარმართვა შეუფერხებლად. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით დადგენილი წესის, კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულებებში, ბრძანებებში განსაზღვრულია ის პირები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ საქმიანობებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში (მუხლი 4) გაწერილი და განმარტებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, რაც დსამომავლოდ სასკოლო საზოგადოებას დაეხმარება პროცესების მნიშვნელობის უკეთ გააზრებასა და წარმატებულად წარმართვაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. კერძოდ, სკოლაში დაკომპლექტებულია სამეურვეო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას და განხილვას. ასევე, სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებული დისციპლინური კომიტეტი. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა რომ ბოლო წლებში საჩივრის შემცველი

განცხადება სკოლაში არ შემოსულა. სკოლის შინაგანაწესში „მუხლი 22. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ განმარტებულია რა უნდა გაკეთდეს განცხადების ან საჩივრის არსებობის შემთხვევაში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 17 სექტემბრის N2-69 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი. რომელშიც გაწერილია საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები. გარდა აღნიშნული დოკუმენტისა გარდა ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც მესამე მუხლი არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა(ბრძანება N2-66, 16.09.2025);
- შინაგანაწესი:
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი (ბრძანება N2-69, 17.09.2025);
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციებისა და შემოთავაზებების მიღება. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, აანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს შესაბამის აქტივობებს. სამეურვეო საბჭოს სხდომებზე წევრი მშობლები ჩართული არიან სკოლის მართვის პროცესებთან დაკავშირებულ განხილვაში. მათი მხრიდან მოცემული უკუკავშირი არის ორიენტირებული თანამშრომლობაზე და არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე. მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში(მუხლი 3. პუნქტი1.3.) გათვალისწინებულია სკოლის ვალდებულება მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). პედაგოგიურ საბჭოში ყველა

მასწავლებელია გაერთიანებული. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია აქტივობები ინტერესებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ომები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რომელთა დათვალიერება და მონიტორინგი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ვალდებულებაა. სკოლაში არსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის შენობის სივრცის კონტროლს. კიბის უჯრედებში არ არის დამონტაჟებული ვიდეო კამერები, რაც ქმნის ეგრეთ წოდებულ ბრმა ზონებს.

უსაფრთხოების ნაწილში სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (MIA 5 25 0301477, 23.09.2025).

სკოლის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრი ბალონები, სკოლაში გამოკრულია ხანძრის შემთხვევაში ქცევის წესები. სკოლას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მისაღებად გაფორმებული აქვს

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება NL27/09 (MIA 8 25 03124628), რომლის საგანიც არის „შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება (CPV 75240000)“. ხელშეკრულების განხორციელების ვადა არის განსაზღვრული 30 დღით.

სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მდგრადობის დასკვნა.

მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე და პირველად დახმარებაზე ზუნავს სკოლის ექიმი, რომლის კვალიფიკაცია და განათლება შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, **სკოლას მიეცა**

რჩევა: უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

არგუმენტირებულ პოზიციათან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი (აქტი № 332, 06.10.2025).

დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლის ვიდეო სამეთვალყურეო სესტემით სრულად უზრუნველყოფა შენობაში საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობის უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული საკითხის მოგვარებაში სკოლას დაეხმარება სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია. შენობის მდგრადობის დოკუმენტის

მოპოვებაც 2026 წლის 24 ნოემბრამდეა დაგეგმილი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა მიმიწერა ლევან სამხარაულის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროსთან.

რეკომენდაცია: 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ უზრუნველყოს:

1. **სკოლის შენობის საერთო სარგებლობის სივრცეების ხილვადობა, დაამონტაჟოს ვიდეო კამერები კიბის უჯრედებში;**
2. **მოიპოვოს სკოლის შენობის მდგრადობის დასკვნა;**

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 21 მარტი 2022წ. შესაბამისად და აკმაყოფილებს ბრძანებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას. სკოლას შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესსა და პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით შეუნარჩუნოთ ადამიანს ჯანმრთელობა. ექიმი აფიქსირებს აღრიცხვის ჟურნალში მის მიერ აღმოჩენილი დახმარების ფაქტებს. ექიმის კომპეტენციები შესაბამისობაში ზემოთ აღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგ-კურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

კლასის დამრიგებლების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობა, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა, მათ ფსიქოლოგიური და ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა. სკოლაში იგეგმება და ტარდება ბულინგის და კიბერბულინგის პრევენციული ღონისძიებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სუფთა და მოწესრიგებული უსაფრთხო გარემოა. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომელთაც გადანაწილებული აქვთ სასკოლო სივრცეები დასამუშავებლად. შენობის სისუფთავეს აკონტროლებს ექიმი. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, სადაც გაწერილია სკოლის ექიმის მოვალეობები, ასევე, სკოლის ტექნიკური პერსონალის (დამლაგებლები) ვალდებულებები. შემუშავებულია მონიტორინგის ფორმა, რომელშიც ასახულია რა სამუშაო უნდა შესრულდეს, ვის მიერ და რა ინტენსივობით.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სკოლის მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი, რომელიც პირის პერსონალური მონაცემების იდენტიფიცირებას ახდენს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა ვალდებულია მონაცემები შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისთვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელი მოცულობით. სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას და მოქმედებს სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემები ატვირთულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის საიტზე https://pdps.ge/ka/content/1012/6933/ssip%C2%A0-siRnaRis-municipalitetis-sofel-bodbis%C2%A0-%C2%A0sajaro-skola .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექციასთან გასუბრებით დგინდება, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვას ახორციელებს სკოლაზე განათლების საინფორმაციო მართვის სისტემების მიერ მომაგრებული IT სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამების განახლებას, სამომხმარებლო და ანტივირუსული პროგრამების ჩაწერას, კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხო და ეფექტურ მუშაობას, სკოლის შიდა ქსელური სერვისების პროგრამულად გამართვას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნიკის უსაფრთხოება. სკოლა მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვას Eschool–ის ბაზაში ახორციელებს საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა პირად საქმეებთან წვდომა აქვს კლასის დამრიგებელს, პირადი საქმეები ინახება სკოლის კანცელარიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არ ხდება პროცესების უსაფრთხოების შეფასება. სკოლაში არ ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაეხმარებოდა სკოლას აღნიშნული საკითხების შეფასებაში და რომლისგანაც შესაძლებელი იქნებოდა რეკომენდაციის მიღება გამოვლენილი/არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. დაწესებულებას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე მრჩეველთა საბჭოს შექმნა და აღნიშნული საკითხის მოგვარება.

რეკომენდაცია: დაწესებულებამ 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე შექმნას მრჩეველთა საბჭოს და ხელი შეუწყოს მის ფუნქციონირებას.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://pdps.ge/ka/content/1012/6933/ssip%C2%A0-siRnaRis-municipalitetis-sofel-bodbis%C2%A0-%C2%A0sajaro-skola

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა აშენდა 2020 წელს და ექსპლუატაციაში მიღებული იქნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის2020 წლის 12 ნოემბრის N692 ბრძანების საფუძველზე. შენობა ორსართულიანია, აქვს: 3 შესასვლელი, 12 საკლასო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სასადილო, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, სამასწავლებლო, ლიფტი და საერთო მოხმარების სივრცეებია მოწყობილი. საკლასო ოთახებში განთავსებულია სასკოლო ინვენტარი - მერხები, სკამები და დაფები. სკოლის დერეფნები ორივე სართულზე არის დიდი, არის ბევრი თავისუფალი სივრცე, ორივე სართულზე არის სველი წერტილები(ადაპტირებულიც), სკოლის შენობაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის ეზოში გარე სპორტული მოედანია. საერთო მოხმარების სივრცეებში განთავსებული მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობები, რომელთა გამოყენება სპორტის გაკვეთილზეც ხორციელდება. აღნიშნული ინფრასტრუქტურა სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციით განსაზრვრულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობისათვის სრულფასოვანი სასწავლო პროცესისას წარმართვისათვის თანამედროვე მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

დაწესებულების შენობა სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. სკოლის მთელ ტერიტორიაზე შენობაშიც და ეზოშიც მოწყობილია კომფორტული მოსასვენებელი სივრცეები. შენობაში არის მრავალფეროვანი რბილი ავეჯია (დივანი, სავარძლები, პუფები), მაგიდები რომლების გადადგილებაც თავისუფლად შესაძლებელია და რომლის საშუალებითაც, როგორც მოსწავლეებთან გასაუბრებისას გაირკვა განსხვავებული აქტივობების დროს განსხვავებულად შეუძლიათ სივრცის მოწყობა. შენობის მეორე სართულზე არის ჩოგბურთის მაგიდა, რომელსაც სპორტის გაკვეთილებზე ცუდ ამინდში იყენებენ და შესვენებებზე სურვილის შემთხვევაში. კომპიუტარული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლების ასევე მოსწავლეებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკის შიდა სივრცეში. სკოლას ჰყავს ახალი ბიბლიოთეკარი, რომელიც მონიტორინგის ვიზიტის წინა დღეს შეუდგა საქმიანობას, თუმცა მასთან გასაუბრიბით დადგინდა, რომ იგი ინფორმირებული იყო ბიბლიოთეკის წესის შესახებ და მომავალში საქმიანობას აღნიშნული წესის შესაბამისად განახორციელებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სასკოლო საზოგადოებას აქვს სრული ხელმისაწვდომობა ინფრასტრუქტურულ ერთეულებზე. სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით. თითოეული მოსწავლისათვის გამოყოფილია ინდივიდუალური

მერხი და სკამი, სახელმძღვანელოები. სკოლაში არ არის შშმ მოსწავლე, თუმცა თუ ჩაირიცხება მას ექნება წვდომა ნებისმიერ სივრცესთან (ლაბორატორიასთან, ბიბლიოთეკასთან, ექიმის ოთახთან, საკლასო ოთახთან) რადგან შენობა სრულად ადაპტირებულია, უზრუნველყოფილია პანდუსითა და ლიფტით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, არის კეთილმოწყობილი საპირფარეშოები. ასევე, ადაპტირებული საპირფარეშო შშმ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის სივრცეები, ბიბლიოთეკა, ეზო, მოედანი გამოიყენება სხვადასხვა ღონისძიების, კონკურსებისა და ინტელექტუალური თამაშებისათვის. სკოლის ფოიეში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, კომლექსური დავალების შესრულების შედეგად შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები. იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ასევე, სკოლა აქტიურად იყენებს გარე სპორტულ მოედანს, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში მონაწილეობის საშუალება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი;
- სკოლის ექიმის პირადი საქმე და ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკარის პირადი საქმე და ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის შენობის სხვადსხვა სივრცე უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით, მთელ შენობაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია 11 ლეპტოპი, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისთვის. სკოლის ბიბლოთეკაში განთავსებულია 4 ინტერნეტში ჩართული პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენება. დირექტორის კაბინეტში, ბურალტერიაში,

სამასწავლებლოში განტავსებულია კომპიუტერები და მულტიფუნქციური პრინტერები, სკოლას აქვს პროექტორი, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ხელმძღვანელობს სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციით სარგებლობის წესებით, აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი კომპიუტერული ლაბორატორიით და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურიტ სარგებლობის წესები.
პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების დასრულების შემდეგ.
ინდიკატორიდაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლა ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომოდის, უსაფრთხოებისა და მისი მოვლა-პატრონობის მიზნით ხელმძღვანელობს „სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციით სარგებლობის წესებით“. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი კომპიუტერული ლაბორატორიით და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურიტ სარგებლობის წესები.
პედაგოგებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დასტურდება ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების დასრულების შემდეგ.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციით სარგებლობის წესები;
- ვიზუალური დათვალიერება;

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლამ წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი, თუმცა მისი დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. დაწესებულება იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow-ს, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზებს. სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, ბუღალტრული დოკუმენტაცია, ბრძანებები შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალებით, შრომითი ხელშეკრულები თავისი სარეგისტრაციო ჟურნალით. ექსპერტების მიერ შესწავლილი იყო ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ელექტრონული და მატერიალური საქმისწარმოების პროცესში არ იყო თანხვედრა ბრძანების ნომრების, რაც თავის მხრივ ხელს უშლის სისტემაში ეფექტურ მუშობას.

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოდგენილია საქმისწარმოების წესი (ბრძანება N2-71, 10.10.2025). სკოლის საქმის წარმოების წესში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა საკადრო ბრძანებებში მოხსენებულია, რომ სასწავლებლის დებულებებისა და წესების შესახებ ბრძანებები საკადროა. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას მიეცა **რჩევა: საქმის წარმოების წესში საკადრო ბრძანებების „ზ პუნქტში“ შეიტანოს ცვლილება, ამოიღოს სასწავლებლის დებულებებისა და წესების შესახებ ბრძანებები საკადრო ბრძანების კატეგორიიდან.**

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, სკოლა იყენებს Eflow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ექსპერტების მიერ მოხდა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილის შესწავლა. რის შედეგადაც დგინდება, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი, რომელშიც სრულად არის ასახული მონაცემები სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების შესახებ. პროფილის განახლება ხდება უწყვეტ რეჟიმში. განხორციელებულია საგნების განაწილება, შედგენილია ცხრილები, არჩეულია სახელმძღვანელოები, დაწესებულება კანონდმებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულება დროულად აწვდის უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. შემოსული განცხადება თუ წერილი სკოლის დირექტორის მიერ ეწერება შესაბამის უფლებამოსილ პირს შემდგომი

რეაგირებისათვის, რომელსაც განესაზღვრება ინფორმაციის დირექტორისათვის წარდგენის ვადა. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხდება შესაბამისი რეაგირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eflow-სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა
- eSchool გვერდი.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**
   სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი სკოლების პორტალზე https://skolebi.emis.ge/ , ასევე საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნიკაციას მასთან ახდენს სოციალური ქსელში არსებული სკოლის გვერდით, მესინჯერ ჯგუფებისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.
   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეესაბამება სკოლაში არსებულ რეალობას და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლას აქვს მისი დოკუმენტური დადასტურების საშუალება. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხიმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაზუსტებას მისი გავრცელების წინ. სკოლის საზოგადოებასთან ინტერვიუს დროს მშობლებმა აღნიშნეს, რომ ელექტრონული ჟუნალით ხდება აკადემიური მოსწრების, შეფასების საკითხების შესახებ ინფორმირება, ხოლო ყველა დანარჩენი აქტივობებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესახებ კლასის დამრიგებლებისგან ხდება ინფორმაციის მირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

უკუკავშირის მიღება ხორციელდება სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების საშუალებით. სკოლა ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს საკუტარი საქმიანობის გსაუმჯობესებლად. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას მშობელმა, რომელმაც თავისი შვილი იმავე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლიდან გადმოიყვანა, სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ სწორედ ეფექტური კომუნიკაცია და მშობლები აზრის, სურვილების გათვალისწინება დაასახელა სკოლის ძლიერ მხარედ. სასურველია სკოლამ შეიმუშავოს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც სისტემურად განსაზღვრავს და ხელს შეუწყობს უკუკავშირის და ზოგადად კომუნიკაციის საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი https://skolebi.emis.ge , რომელზეც ინფორმაცია ქართულ ენაზეა განთავსებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია მისია, ხედვა ღირებულებები, პროგრამების სახელწოდებები, სტრუქტურა (თუმცა სტრუქტურა არ არის სრულყოფილი), ჩარიცხვის პროცედურები არ არის წარმოდგენილი (თუმცა სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის წესი), მოსწავლის მხარდაჭერის სერვისებში განთავსებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 25 მარტს ბრძანება N2-08-ით დამტკიცებული რემედიაციის დებულება და 2025 წლის 12 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. გასაჩივრების მექანიზმების კონტექსტში სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია „ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმები“ თუმცა რა დოკუმენტიდანაა ამონარიდი არ იკითხება. ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები/ანგარიში არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულის სკოლის ვებ-გვერდით სრულად მოწესრიგება 2025 წლის 24 ნოემბრიდან 2026 წლის 24 ნოემბრამდე.**სკოლას მიეცა**

რეკომენდაცია: 2026 წლის 24 ნოემბრამდე სკოლამ უზრუნველყოს შემდეგი დოკუმენტების ვებ-გვერდზე განთავსება: 1.სრულყოფილი სტრუქტურა; 2. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები; 3.ფინანსური ანგარიში; 4.სამოქმედო გეგმის ანგარიში.
ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://skolebi.emis.ge
- რემედიაციის დებულება (ბრძანება N2-08, 25/03/2025)
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი (პედსაბჭოს N1 სხომაზე დამტკიცებული 12/09/2025)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა იღებს სახელმწიფო დაფინანსებას ვაუჩერის სახით. სკოლა ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტს, რომელსაც ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის ოქმი. ოქმში წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიშის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშის განხილვა და 2025 წლის ბიუჯეტის განხილვა. სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შესყიდვების გეგმა, სკოლის მიერ შემუშავებულია შესყიდვის განხორციელების წესი, განსაზღვრულია შესყიდვების კოორდინატორი, რომელსაც ევალება შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული მოთხოვნების სწორად განხორციელება. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კეთდება დასკვნა, რომ სკოლა ფინანსური რესურსით უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას დამტკიცებული აქვს 2025 წლის ბიუჯეტი (2024 წლის 11 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი), რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის მიერ ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდისა თუ შემცირების ცვილებების შემთხვევაში იგივე პროცედურების უზრუნველყოფით ხდება ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლას აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. ამასთანავე, შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ბრძანებით დამტკიცება და ცვლილების ელექტრონულ EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბერში სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

რჩევა: სკოლის დირექტორმა ანგარიში ყოველწლიურად სამურვეო საბჭოს წარუდგინოს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;
- სკოლის დირექტორის 2024 წლის ფინანსური ანგარიში;
- 2024 წლის 11 დეკემბრის სამურვეო საბჭოს ოქმი;
- 2024 წლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- 2025 წლის შესყიდვების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული და 2023 წლის 10 ივლისს სკოლის დირექტორის N2-18 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია", რომელიც არეგულირებს ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის საკითხს, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას პოლიციისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმირების წესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. გასაჩივრების უფლება, დისციპლინური გადაცდომებისა და სახდელების შესახებ ინფორმაცია, გასაჩივრების პროცედურული საკითხები და ა.შ. სკოლას შექმნილი აქვს დისციპლინური კომიტეტი. სკოლის დირექციასთან გასაუბრებისას დგინდება, რომ გადაცდომის ფაქტები არც მოსწავლეებსა და არც მასწავლებლების მხრიდან არ ყოფილა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, სადაც მითითებულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები, ასევე, მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და ზოგადი ქცევის წესები. ხელშეკრულება გაფორმებულია თითოეული მოსწავლის მშობელთან.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია (ბრძანება N2-18, 10.07.2023);
- სსიპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანებები სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების და საფეხურის დაძლევის შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესთან". განიხილეს სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები და შიდა დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდა, რომ პროცესები მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად ხორციელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს სკოლის მოსწავლეთა ბაზა, გარდა ამისა, მოსწავლის პირადი საქმეები, სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ - ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან. შესწავლილი იქნა სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი ბოლო ქეისი (2020 წლის). სტატუსი შეუჩერდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს, რომელიც არ იყო სოფლის მუდმივი მაცხოვრებელი, რომლის მშობელთან კომუნიკაცია ვერ ხერხდებოდა ვერც ტელეფონზე, ვერც წერილობით (გავეცანით უკან დაბრუნებულ წერილებს), მიმოწერას და ინფორმირების ფაქტებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. გასაუბრებით და მიმოწერით დგინდება, რომ სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლებლები აქტიურად ცდილობდნენ მოსწავლის მოძიებას, თუმცა წესის შესაბამისად მას შეუჩერდა სტატუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია სკოლის შიდა პოლიტიკა. სკოლის მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში მოსწავლეებისათვის დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება არ ყოფილა შეთავაზებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

ყველა სიახლე სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, მუდმივად განახლებადია და განთავსებულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რაც დასტურდება არსებული დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და საფეხურის დაძლევის შესახებ;
- მიმოწერა საგანმანათლებლო რესურსცენტრათან;
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 12.09.2025). აღნიშნულ წესში გათვალისწინებულია პირველკლასელთა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა, მობილობით გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. გაწერილია წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები წარმატებული ადაპტაციისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სასწავლო წლის დაწყების დღიდან მუდმივად ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს საკლასო ოთახს, თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს. მასწავლებლებთან ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ პირველკლასელებსა და ახლადგადმოსულ მოსწავლეებს დამრიგებლები აცნობენ სასწავლო გარემოს, საკლასო ოთახებს, რეკრეაციულ სივრცეებს, სკოლის ეზოს. ასევე ხვდებიან მშობლებს, ინტერესდებიან მოსწავლის განწყობით და დამოკიდებულებებით, ზრუნავენ მათ ადაპტაციასა და ინტეგრაციაზე სასკოლო საზოგადოებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მოსწავლეები სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას იღებენ მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის დირექციის მხრიდან. მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები ყოველთვის წინასწარ არიან ინფორმირებული შემაჯამებელი წერების შესახებ, შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. მოსწრებასთან დაკავშირებული პრობლემის შემთხვევაში სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მეცადინეობას, თუმცა ასევე აღნიშნეს, რომ კლასში მოსწავლეთა მცირერიცხოვნობის გამო, როგორც წესი პრობლემა არ არის ხშირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებულები არიან მობილობის უფლების შეზღუდვის შესახებ, გაცდენების შემთხვევაში ექსტერნის გამოცდის დანიშვნის და სტატუსის შეჩერების, შინ სწავლების უფლების შესაძლებლობის შესახებ და ა.შ. ეს ინფორმაცია მშობლებისთვის განთავსებულია

საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლის მობილობა, ინფორმირება, ცნობის გაცემა, სტატუსის შეჩერების ვადები დაცულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივით ბევრი პროექტი ხორციელდება. მოსწავლეებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ეწყობა სასწავლო ხასიათის ექსკურსიები, ლაშქრობები. ექსკურსიების ტრანსპორტირების ხარჯებს, როგორც წესი სკოლა უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს გეოკლუბი „მოგზაური“, რომლის ფუქნციონირების ხელშეწყობისთვისაც შემუშავებულია კლუბის დებულება, სამოქმედო გეგმა. მოსწავლეებთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ მათი ერთ-ერთი ბოლო ინიციატივა საქართველოს ფეხბურთის ნაკრების ფანკლუბის შექმნაა, რომლის ფარგლებშიც ფეხბურთელების თანადგომას, ქართული ფეხბურთის ისტორიის და ტრადიციების შესწავლას, ქართველი ფეხბურთელების მოწვევას გეგმავენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

ინტერვიურების დროს მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ პერიოდულად ხვდებიან სკოლის დირექტორს საუბრობენ არსებულ საჭიროებებზე, მოსწავლეების სურვილებზე, იწვევენ თვითმმართველობის შეხვედრებზე. უფროსებს ესაუბრებიან საკუთარი ინტერესების შესახებ, რის შემდეგაც სკოლა ცდილობს და როგორც წესი ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 12.09.2025);
- გეოკლუბი მოგზაურის დებულება
- გეოკლუბის მასალები https://www.facebook.com/profile.php?id=100067042861296

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

ექსპერტების მიერ დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კლასის დამრიგებლებს გათვალისწინებული აქვთ პროფესიული ორიენტაციის საკითხები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. სკოლაში იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. მოსწავლეებმა აღნიშნეს რომ ვიზიტით იმყოფებოდნენ კაჭრეთის პროფესიულ სასწავლებელში. ინტერვიუს პროცესში სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ გეგმავენ კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას, რაც კიდევ ერთი საშუალება იქნება პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობისათვის.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლის დირექტორმა, მასწავლებლებმა, მშობლებლმა და მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალ საფეხურზე გადასვლისას სკოლა ხვდება და აწვდის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას, როგორც ცალკე მოსწავლეებს, ასევე მშობლებსა და მოსწავლეებს ერთობლივად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ინტერვიუს პროცესში სკოლის მიერ შეთავაზებული კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრები დადებით იყო შეფასებული მოსწავლეებისა და მშობლებისაგან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად ინფრასტრუქტურული კუთხით. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია ინკლუზიური განათლების ასპექტები, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინდ. გეგმის ნიმუში და ა.შ .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ამჟამად, სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. თუმცა, შემუშავებული დოკუმენტაცია და სკოლის დირექციასთან გასაუბრება იძლევა იმის საფუძველს, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ინკლუზიის უზრუნველყოფის საკითხები და საჭიროების შემთხვევაში, სრულფასოვნად შეძლებს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, 12.09.2025).

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

არასავალდებულო მომსახურებიდან სკოლაში მხოლოდ გეოკლუბი ფუნქციონირებს. სხვა დამატებით არასავალდებულო მომსახურებას სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს. მოსწავლეებს არ აქვთ გახანგრძლივებული სწავლების მომსახურების საჭიროება, არც ტრანსპორტის. გასაუბრების დროს სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა კვების სერვისი ყოფილიყო, თუმცა მცირერიცხოვნობის გამო აღნიშნული სერვისით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში თვითმმართველობის მხრიდან ინიცირებულია სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის კლუბური მუშაობა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეები.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დაწესებულებაში ყველა პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გეოკლუბი მოგზაურის დებულება
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 25.11.2025წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ბოინაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. ხუციშვილი